



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10

აბაშა, 2019 წლის 1 აპრილი

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge-13/11/2017 სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.110.016302) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სამსახურის უფლებამოსილებები:

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და აბაშის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ დასახული ძირითადი პრიორიტეტებისა და მიმართულებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საქმიანობის კოორდინაცია. ადამიანისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა და პროგრამების შემუშავება, მონიტორინგი;

გ) სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების მოგვარების მიზნით თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

დ) ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ე) მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელება;

ვ) ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვა;

ზ) წინადადებების შემუშავება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

- თ) უსახლკაროთა რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ი) სოციალური დაცვის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- კ) სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მიზნობრივი ჯგუფების (უმუშევრები, პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობის პირები, მრავალშვილიანები, ვეტერანები, დევნილები და სხვა) საჭიროებების შესწავლა, მათზე შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება, სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;
- ლ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვეტერანთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება, ვეტერანთა საქმეებზე საინფორმაციო ბაზის წარმოება, მათი სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და გასატარებელ ღონისძიებათა შემუშავება, კოორდინაცია;
- მ) უმუშევართა რეგისტრაცია, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ნ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დევნილთა დროებითი განსახლების ორგანიზაცია, მათი პრობლემების, სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა, დასკვნებისა და წინადადებების წარმოდგენა. მათი უფლებების დაცვა;
- ო) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირება, მათი საჭიროებების განსაზღვრა და შეფასება, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- პ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვა და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინება;
- ჟ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება;
- რ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;
- ს) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;
- ტ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება;
- უ) საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარება.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სოციალური სერვისების განყოფილება.“.

3. დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ მუხლი:

„5¹ მუხლი. სოციალური სერვისების განყოფილების ფუნქციები:

- ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების იდენტიფიცირება;
- ბ) მათი საჭიროებების განსაზღვრა-შეფასება;
- გ) ბენეფიციართა ჩართვა მუნიციპალიტეტის შესაბამის სოციალური მომსახურებებში;
- დ) ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა და მასზე რეაგირება არსებული რეფერალური პროცედურების შესაბამისად;
- ე) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად ამ პროცედურებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან კოორდინირება;
- ვ) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისთვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება / კონსულტირება;
- ზ) ბენეფიციართა მონაცემების ბაზის წარმოება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

- თ) ბენეფიციართა კმაყოფილების და მომსახურების ზეგავლენის შეფასება ინსტრუმენტის - მომსახურების ზეგავლენის შეფასების კითხვარი - საშუალებით დადგენილ პერიოდულობით;
- ი) შეფასების შედეგების ანალიზი/რეკომენდაციები სოციალური პროგრამების განვითარების/მოდერნიზაციის მიზნით;
- კ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების გატარება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 15 აპრილიდან.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიციანი